ქ. თბილისი **16/07/2026წ.**

მოსაწვევის გაგზავნის თარიღი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნული ფედერაციის“
წევრებს/დელეგატებს:

1) ააიპ „ჰოკეის და კერლინგის კლუბი ბაკურიანი“-ს (ს/ნ 426113430)

იურირიული მისამართი: საქართველო, ქ. ბორჯომი,
დაბა ბაკურიანი , კობა წაქაძის ქ., N18 თ, ბინა N9
ელ. ფოსტის მისამართი: ninopetelava@yahoo.com

2) ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის ყინულის ჰოკეის
საქალაქო ფედერაცია“-ს (ს/ნ 405121997)

იურიდიული მისამართი:საქართველო, ქ. თბილისის,
ვაკე-საბურთალოს რაიონში, სულხან ცინცაძის ქ., N 26,
სართული 3, ბინა N4-01, ბლოკი III
ელ. ფოსტის მისამართი: mishodav@gmail.com

3) შპს „ყინულის ჰოკეის კლუბი დინამო ბათუმი“-ს (ს/ნ 445644893)

იურირიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი,
შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა, N7ბ, სასტუმრო N3245,
სართული 32, ბლოკი A
ელ. ფოსტის მისამართი: ikhechuashvili@gmail.com

4) ა(ა)იპ „საქართველოს ყინულის ჰოკეის კლუბი მიმინო“-ს (ს/ნ 426114091)
იურიდიული მისამართი:საქართველო, ბორჯომი,
დ. ბაკურიანი დ.აღმაშენებლის ქ., N25
ელ. ფოსტის მისამართი: gochajeiranashvili@mail.ru

მოსაწვევი/შეტყობინება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნული ფედერაციის“ (ს/ნ 205063223), იურიდიული მისამართი: თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, 1-ლი სადარბაზო, ოფისი 1)

წევრტა/დელეგატთა ყრილობის მოწვევის თაობაზე

გაცნობებთ, მოქმედი წესდების 8.2.“ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, კერძოდ: პრეზიდენტის/ გამგეობის წევრთა უფლებამოსილების ვადის გასვლის და საწევრო შენატანების შეუტანლობის გამო წევრის/წევრთა გარიცხვის საკითხის განხილვის მიზნებისთვის, 2026 წლის 27 ივლისს, 12 საათზე მოწვეული ხართ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნული ფედერაციის“ (შემდგომში ტექსტში - „ფედერაცია“ ან „საზოგადოება“, ს/ნ 205063223) ყრილობაზე.

<u>ყრილობა ჩატარდება:</u>

ყრილობის ჩატარების თარიღი: 27/07/2026 წელს;

ყრილობის დაწყების დრო: 12:00 საათზე;

ყრილობის ჩატარების ადგილი: ყრილობა გაიმართება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, 1-ლი სადარბაზო, ოფისი 1

<u>ყრილობის დღის წესრიგი:</u>

1. საზოგადოების წესდების 5.3.“ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, წევრის/წევრების გგარიცხვა;

2. გამგეობის წევრების უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო, გამგეობის შემადგენლობაში ახალი წევრის არჩევა, გამგეობის წევრების ნაწილის ხელახალი ვადით არჩევა, გამგეობის ახალი შემადგენლობის დამტკიცება;

3. საზოგადოების პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო მოქმედი პრეზიდენტის ხელახალი ვადით არჩევა.

4. კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული „საზოგადოების“ სადამფუძნებლო შეთანხმების (დანართი N1) კონსოლიდირებული ტექსტის დამტკიცება (წესდებაში ცვლილების შეტანის გარეშე).

5. მარეგისტრირებელი ორგანოსთვის, „ფედერაციის“ რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის მიზნით, მიმართვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა;

6. ყრილობის ოქმით დამტკიცებულ „საზოგადოების“ სადამფუძნებლო შეთანხმების (დანართი N1) კონსოლიდირებულ ტექსტზე ხელმომწერი პირის განსაზღვრა;

<u>ყრილობაზე ხმის მიცემისა და წევრთა/დელეგატთა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის წესი და პირობები, საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად:</u>

- ყრილობაში იურიდიული პირი წევრის სახელით მონაწილეობას იღებს მის მიერვე განსაზღვრული წარმომადგენელი, რომელმაც უნდა წარმოადგინოს ყრილობაში მონაწილეობის შესახებ უფლებამოსილების დოკუმენტი;

- ყრილობაზე ფედერაციის წევრის მიერ სხვა წევრისთვის ხმის უფლების დელეგირება დაუშვებელია;

- ყრილობაზე კენჭისყრისას ფედერაციის ხმის უფლების მქონე ყოველ წევრს აქვს თითო ხმა.

- დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. ხოლო ყრილობა გადაწყვეტილებაუნარიანად ჩაითვლება თუ მას დაესწრება წევრთა უბრალოდ უმრავლესობა, საიდანაც 3/4-ს უნდა შეადგენდეს წევრი სპორტული ორგანიზაციები.

პატივისცემით,

საზოგადოების პრეზიდენტი:

ზაქარია ხეჩუაშვილი (პ/ნ 01019002344) /----------/